ფინანსური ანგარიშგება

შპს აგროტექნო

პერიოდი: 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე .. 3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4
სრული შემოსავლის ანგარიშგება 5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები 8

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია: შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე; განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე; ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში; მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში; შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები; ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით; სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად; კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 1 სექტემბერს მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი მიხეილ ალხანიშვილი *2023 წლის 1 სექტემბერი* *თბილისი, საქართველო*	ფინანსური მენეჯერი ხატია დიდებაშვილი *2023 წლის 1 სექტემბერი* *თბილისი, საქართველო*

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნები	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	263,784	825,040	226,610
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,742,816	4,859,155	627,219
მარაგები	9	4,842,118	6,704,071	271,538
საგადასახადო აქტივი		630,482	-	-
სულ მიმდინარე აქტივები		**8,479,200**	**12,388,266**	**1,125,367**
გრძელვადიანი აქტივები				
გრძელვადიანი მატერიალური აქტივები	10	94,995	30,054	13,640
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივები	11	5,141	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		**100,136**	**30,054**	**13,640**
სულ აქტივები		**8,579,336**	**12,418,320**	**1,139,007**
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	12	2,613,881	1,874,081	299,978
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		141	300	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	33,844
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	13	-	-	883,985
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	13	308,729	-	-
სხვა ვალდებულებები		792,227	9,166,744	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**3,714,978**	**11,041,125**	**1,217,807**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	13	2,224,044	805,376	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**2,224,044**	**805,376**	**-**
სულ ვალდებულებები		**5,939,022**	**11,846,501**	**1,217,807**
საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	3	2,640,314	571,819	(78,800)
სულ საკუთარი კაპიტალი		**2,640,314**	**571,819**	**(78,800)**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**8,579,336**	**12,418,320**	**1,139,007**

დირექტორი
მიხეილ ალხანიშვილი
2023 წლის 1 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი
ხატია დიდებაშვილი
2023 წლის 1 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	31/12/2022	31/12/2021
შემოსავალი საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან	4	20,829,194	6,688,642
გაყიდვების თვითღირებულება		(17,741,270)	(5,267,645)
საერთო მოგება		**3,087,924**	**1,420,997**
დასაქმებულთა ანაზღაურება		(805,444)	(465,885)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(29,417)	(3,743)
საპროცენტო ხარჯი	5	(196,938)	(60,364)
იჯარის ხარჯი		(196,210)	(79,647)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	6	(290,409)	(135,972)
სულ საოპერაციო ხარჯები		**(1,518,418)**	**(745,611)**
საოპერაციო მოგება		**1,569,506**	**675,386**
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		674,192	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		5,616	-
მოგება დაბგვრამდე		**2,249,314**	**675,386**
მოგების გადასახადი		(26,329)	(3,714)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		**2,222,985**	**671,672**

დირექტორი
მიხეილ ალხანიშვილი
2023 წლის 1 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



ფინანსური მენეჯერი
ხატია დიდებაშვილი
2023 წლის 1 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**671,672**
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	(78,800)
დივიდენდის გატანა	(21,053)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**571,819**
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	2,222,985
დივიდენდის გატანა	(149,200)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(5,290)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**2,640,314**

დირექტორი
მიხეილ ალხანიშვილი
2023 წლის 1 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი
ხატია დიდებაშვილი
2023 წლის 1 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2022**	**31/12/2021**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	(1,372,365)	1,714,488
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	1,361,446	(6,170)
წმინდა ფულადი ნადები	**(10,919)**	**1,708,318**
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(550,337)	(1,109,888)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	825,040	226,610
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	263,784	825,040

დირექტორი
მიხეილ ალხანიშვილი
2023 წლის 1 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი
ხატია დიდებაშვილი
2023 წლის 1 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აგროტექნო“ დაფუძნდა 2013 წლის 5 ივლისს. საიდენტიფიაციო კოდი: 404451133, მარეგისტრირებელი ორგანო - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბროსეს ქ., №2, ოფისი №17. დამფუძნებელი მიხეილ ალხანიშვილი (პ/ნ 01003001393) – 100%.
შპს „აგროტექნოს“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, მოწყობილობებით და საკუთნოებით, სხვა სატრანსპორტო საშუალებების რემონტი და ტექნიკური მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

შესაბამისობის განცხადება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში („ქართული ლარი“).

წამოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არის პირველი ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად. 2021 წლის 31 დეემბრისთვის კომპანიამ მოამზადა და გაასაჯაროვა ფინანსური ანგარიშგებები მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად. მსს ფასს-ის დანერგვამ არ გამოიწვია არსებითი ცვლილებები.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გაანგარიშებულია კომპანიის სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად, წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორისი ოპერაციების შედეგად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/1 ევრო	2.8844	3.5040

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით მიღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ ანულირება გაუკეთა მის ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივსა და ვალდებულებას.

ძირითადი საშუალებები

საკუთრებაში არსებული აქტივები
ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთა
ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივის თვითღირებულების განაწილების გზით სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

- შენობა-ნაგებობები 5%
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 20%
- ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი 20%
- სატრანსპორტო საშუალებები 20%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავენ კომპიუტერულ და საბუღალტრო პროგრამების ლიცენზიებს. ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია. არამატერიალური აქტივების ცვეთის ნორმა არის 15%.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო

გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭიროდანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი“ მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, უმეტესწილად, ხორციელდება ავანსად თანხის მიღების შემდგომ. საკრედიტო პირობით რეალიზაციის განხორციელებისას დებიტორულ დავალიანებას, ძირითადად, არ ერიცხება პროცენტი. თუ საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, ხდება მოთხოვნების შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არის უიმედო. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულებში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულებში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

ჯგუფის მიერ გაყიდულ საქონლს ახლავს გარანტია, რომ მას ერთი/ორი წლის განმავლობაში არ აღმოაჩნდება საწარმოო წუნი. საქონლის წუნის გამოსწორებას, ან გამოცვლას კომპანია ახორციელებს საკუთარი შეხედულებისამებრ. როდესაც ამონაგები აღიარდება, შეიქმნება ანარიცხები საგარანტიო ვალდებულების შეფასებული სავარაუდო დანახარჯებისთვის.

სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობისხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

3. დივიდენდი

დივიდენდი გაიცემა დირექტორის მოთხოვნის საფუძველზე გაუნაწილებელი მოგებიდან.

ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**671,672**
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	(78,800)
დივიდენდის გატანა	(21,053)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**571,819**
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	2,222,985
დივიდენდის გატანა	(149,200)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(5,290)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**2,640,314**

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტის მიერ შეცვლილი საგადასახადო კოდექსის თანახმად მოგების გადასახადი გაიანგარიშება გატანილი დივიდენდის პროპორციულად. მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს. შესაბამისად მოგების გადასახადი გაანგარიშებულია დივიდენდის განაწილების შედეგად:

მოგების გადასახადის ხარჯი

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მიმდინარე მოგების გადასახადი	(26,329)	(3,714)
სულ მოგების გადასახადი	**(26,329)**	**(3,714)**

4. ამონაგები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	20,783,871	6,677,413
შემოსავალი მომსახურებიდან	45,323	11,229
სულ ამონაგები	20,829,194	6,688,642

5. საპროცენტო ხარჯი

ფინანსური დანახარჯები მოიცავს ბანკის სესხისა და ლიზინგით მიღებული აქტივთან დაკავშირებულ ხარჯებს.

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სესხებზე დარიცხული პროცენტი	(188,355)	(60,364)
ფინანსური იჯარის პროცენტი	(8,584)	-
სულ საპროცენტო ხარჯი	(196,938)	(60,364)

6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი მოიცავს შემდეგ ხარჯებს

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
კომუნალური ხარჯი	(27,289)	(8,614)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(31,256)	(2,729)
სერვისის სახარჯი მასალა	(56,426)	(10,637)
ოფისის ხარჯი	(23,863)	(4,976)
მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	(65,314)	(13,005)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(86,261)	(96,011)
სულ	**(290,409)**	**(135,972)**

7. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული ბანკში	263,328	3,013
ფული სალაროში	456	822,027
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**263,784**	**825,040**

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს დაუფარავ დებიტორულ დავალიანებასა და მომწოდებლებისათვის გადახდილ ავანსებს:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო დებიტორები	309,687	1,637,322
წინასწარ გადახდები	2,433,129	3,221,833
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**2,742,816**	**4,859,155**

9. მარაგები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას ერიცხება მარაგების შემდეგი ნაშთები:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მარაგები	4,842,118	6,704,071
სულ მარაგები	**4,842,118**	**6,704,071**

10. გრძელვადიანი მატერიალური აქტივები

თვითღირებულება

საწყისი ღირებულება 01/01/2022	33,817
შემოსვლა	94,068
გასვლა	-
საბოლოო ღირებულება 12/31/2022	127,885

დაგროვილი ცვეთა

საწყისი ღირებულება 01/01/2022	3,763
შემოსვლა	29,127
გასვლა	-
საბოლოო ღირებულება 12/31/2022	32,890

საბალანსო ღირებულება

საწყისი ღირებულება 01/01/2022	30,054
შემოსვლა	64,941
გასვლა	-
საბოლოო ღირებულება 12/31/2022	94,995

11. გრძელვადიანი არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	
საწყისი ღირებულება 01/01/2022	-
შემოსვლა	5,431
გასვლა	-
საბოლოო ღირებულება 12/31/2022	5,431

დაგროვილი ცვეთა	
საწყისი ღირებულება 01/01/2022	-
შემოსვლა	290
გასვლა	-
საბოლოო ღირებულება 12/31/2022	290

საბალანსო ღირებულება	
საწყისი ღირებულება 01/01/2022	-
შემოსვლა	5,141
გასვლა	-
საბოლოო ღირებულება 12/31/2022	5,141

12. სავაჭრო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო ვალდებულებები	2,613,881	1,874,081
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**2,742,816**	1,874,081

13. სესხები

კომპანიის ბალანსზე რიცხული ნასესხები სახსრები შედგება ბანკებისგან და პარტნიორი კომპანიისგან ნასესხები თანხებისგან

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	308,729	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2,224,044	805,376
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**2,532,773**	**805,376**

14. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

15. საანგარიშგებო-პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

ზემოხსენებული სტანდარტების მოთხოვნაა, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) ასახავდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არსებულ მდგომარეობას. ასევე, 2022 წლის 31 დეკემბრიდან 2023 წლის 1 სექტემბრამდე ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, რომელიც არსებით ზეგავლენას მოახდენდა შპს „აგროტექნო“-ს ფინანსურ ანგარიშგებაზე, მათ შორის რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი.

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ)მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშნველოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 1 სექტემბერს.